

თემა 2 . სამოქალაქო სამართლის სფერო

შინაარსი

- ❖ სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო;
- ❖ ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში;
- ❖ პირები სამოქალაქო სამართალში.

2.1. სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო

თემის შინაარსი:

- კერძო სამართლებრივი სივრცე;
- პირთა როლი ამ სივრცეში.

მიზანი:

- გავეცნოთ სამოქალაქო სამართლის მახასიათებლებს;
- ასავე გავეცნოთ მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

ადამიანები უამრავი სახის ურთიერთობებს ამყარებენ, რომელსაც სხვადასხვა ხასიათი შეიძლება ქონდეს. ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივი პირადი ან სხვა ურთიერთობები, ან კიდევ სამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა მხარეები ამ დროს უმეტესწილად არ ფიქრობენ აღნიშნულ ურთიერთობათა ხასიათზე.

შედეგად პირები აღმოჩნდებიან რომელიმე სამართლებრივ ურთიერთობებში ისე, რომ წინასწარი გაცნობიერება – რა ურთიერთობაში შედიან, როგორ მოქმედებენ, რა უფლება-მოვალეობებით აღიჭურვებიან და რა შედეგი შეიძლება დადგეს – ვერ ხდება. ამ პრობლემას მიეყვართ უფრო დიდ პრობლემასთან, როგორიც არის: - საზოგადოების სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე – გაცნობიერება იმისა, რომ პირს წინასწარვე ჰქონდეს აღქმული: მოქმედებს და ვრცელდება თუ არა იმ ურთიერთობაზე სამართლებრივი ნორმები, რომელშიც იგი შედის, და თუ ასეა, მაშინ ზოგადად ინფორმირებული მაინც იყოს მათ შესახებ.

ურთიერთობების უმეტესობა – ეს არის კერძო პირთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებს ის სამართლებრივი ნორმები, რომელიც გაერთიანებულია “სამოქალაქო კოდექსში”

▲ კოდექსი - ეს არის ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლის ნორმათა სისტემატიზებული კანონი. ▼

ტერმინი – “სამოქალაქო კოდექსი” – არ განიხილება, როგორც იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ვრცელდება მხოლოდ “მოქალაქეებზე”. ტერმინი “სამოქალაქო კოდექსი” ძველი დროიდან მოდის და ამ კოდექსის მიზანია – პირთა კერძო ცხოვრების მოწესრიგება. ამიტომ არის, რომ იურიდიულ ლიტერატურაში “სამოქალაქო სამართალი” განიხილება, როგორც კერძო სამართლის ნაწილი (და მათ შორის უმთავრესი ნაწილი).

ზოგადად, კერძო სამართალი, უფრო ზუსტად კი “სამოქალაქო კოდექსი” საკმაოდ დიდი და ამავე დროს ძვირფასი შენაძენია საზოგადოებისათვის. მიზეზი გახლავთ ამ კოდექსისთვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები:

- პირთა თანასწორობა;
- ნების ავტონომიურობა;
- ნების თავისუფალი გამოვლენა;
- ურთიერთვალდებულება.

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი – ადიარებს და იცავს ადამიანის უფლებას და თავისუფლებას, პატივს სცემს მის პიროვნებას და აძლევს საშუალებას – მიიღოს (შეიძინოს) სიკეთე, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური.

ნების ავტონომიურობა - გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილის დამოუკიდებლობას თავიანთი უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საკითხებთან მიმართებაში.

პირთა თანასწორობა – ყველა ურთიერთობაში, მათი სტატუსის მიუხედავად, პირები სარგებლობენ თანასწორი უფლება-მოვალეობებით.

ნების თავისუფალი გამოვლენა (დისპოზიციურობა) - პირები თავიანთ ნებას გამოხატავენ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ურთიერთდამოკიდებულება – პირები აღჭურვილნი არიან ამ ურთიერთობებში არა მხოლოდ უფლებებით არამედ ეკისრებათ ვალდებულებები. ერთის მხრივ უფლება, ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულება, რაც სამართლებრივი კუთხით აბალანსებს ურთიერთობების სამართლიანობას.

სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი გვეუბნება, რომ ის ვრცელდება და აწესრიგებს პირთა:

- ქონებრივ
 - საოჯახო
 - პირად
- } ურთიერთობებს, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობის პრინციპზე.

ამ ურთიერთობის მონაწილე პირები შეიძლება იყვნენ:

- ფიზიკური;
- იურიდიული (საჯარო, კერძო).

ფაქტი, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები – „სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები” - კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სამოქალაქო სფეროში პირთა თანასწორობის პრინციპს.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.24 (3)).

2 . 2 . ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში

თემის შინაარსი:

- ხანდაზმულობა და მისი ვადები;
- შემთხვევები, რაზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა;
- დრო, როცა შეჩერებულია ხანდაზმულობის ვადის დენა.

თემის მიზანი:

- ფლობდეთ ინფორმაციას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში რა მოთხოვნები შეიძლება გქონდეთ და რა ვადით;
- იცოდეთ, როდის და რა ვადით არ გაქვთ მოთხოვნის უფლება.

სამოქალაქო სამართლის ურთიერთობის მონაწილე პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებს (მოქმედება, უმოქმედობა) აქვს ძალა გარკვეული პერიოდის მანძილზე. ამ დროის გასვლის შემდეგ ამ ქმედებებს ეკარგება კანონიერი ძალა, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობა – “ხანდაზმულობას” უწოდებს და განმარტავს შემდეგნაირად:

△ სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ▽

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მ.128(1))

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რაზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა:

- პირად არაქონებრივ უფლებებზე (თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
- მეანბრეთა მოთხოვნებზე ბანკსა და საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

“ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, თუ მისი წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, იგი დაიწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განხორციელებინა ეს მოქმედება”.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 131).

მოთხოვნის წარმოშობად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.130; 131)

ხანდაზმულობის ვადებია:

- საერთო ვადა – 10 წელი;
- სახელშეკრულებო მოთხოვნის – 3 წელი;
- უძრავ ნივთებთან დაკავშირებით სახელშეკრულებო მოთხოვნა – 6 წელი;
- პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები (მოთხოვნები) - 3 წელი;
- ცალკეულ შემთხვევებში – სხვა ვადები.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ.128(3);129).

ასევე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც შეჩერდება ვადის დენა (არ ხდება ხანდაზმულობით გათვალისწინებული ვადის გახარჯვა):

- ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);
- სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში დაუძლეველი ძალა;
- კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდომარეობაში;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- მეუღლეთა შორის (ქორწინების განმავლობაში მხოლოდ);
- მშობლებსა და შვილებს შორის (ბავშვის სრულწლოვნობამდე);

- მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის;
- თუ მოთხოვნა მოდის – ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისაგან, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. (ვიდრე არ აღდგება ქმედუნარობა ან არ დაენიშნება წარმომადგენელი)

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 132; 133; 134)

განსხვავებულია ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხი და იგი დგება, როდესაც ვალდებული პირი:

- | | | |
|---|---|--------------------|
| <ul style="list-style-type: none"> ➤ ავანსის ➤ პროცენტის ➤ გარანტიის ➤ სხვაგვარად | } | აღიარებს მოთხოვნას |
|---|---|--------------------|

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 137)

ასევე სამოქალაქო კოდექსი ამბობს, რომ ხანდაზმულობის ვადის შეცვლა „დაუშვებელია მხარეთა შეთანხმებით“.

(იხ. საქ. სამოქ. კოდ. მ. 146)

2 . 3 . პირები - სამოქალაქო სამართალში

თემის შინაარსი:

- სუბიექტები – პირები სამოქალაქო სამართალში;
- ფიზიკური პირი და მისი აღმჭურველი უფლება – მოვალეობები;
- იურიდიული პირი, მისი სახეები და ფუნქციები.

მიზანი:

- სწორად გვესმოდეს ფიზიკურ პირთა სამართლებრივი სტატუსი;
- ვისწავლოთ: - როგორ ვიცნოთ იურიდიული პირი;
- დავახსიათოთ იურიდიული პირის სახეები და ვნახოთ რა ფუნქციები აქვს.

როგორც წინა თავებში ვნახეთ, სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია სუბიექტი, რომელიც მოიაზრებს პირებს.

პირი შეიძლება იყოს: როგორც ”ფიზიკური” ასევე ”იურიდიული”.

”ფიზიკური პირი” – თავისთავად გულისხმობს პიროვნებას, ადამიანს. იგი სამართლებრივ ურთიერთობებში აღჭურვილია უფლებებით და ეკისრებათ ვალდებულებები.

ამ უფლებების არსებობა და განხორციელებადობა გამოიხატება პირის ”უფლებაუნარიანობასა” და ”ქმედუნარიანობა”-ში.

განვიხილოთ ისინი ფიზიკურ პირთან მიმართებაში.

სამოქალაქო კოდექსი აღიარებს ფიზიკური პირის – უფლებათარსიანობას და მას ახასიათებს შემდეგნაირად:

▲ უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშება დაბადების მომენტიდან. ▼

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მ.11.(2))

ამგვარად განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი უფლებათარსიანობას და ხაზს უსვამს მის ხელშეუხებლობას სიტყვებით – ”არ შეიძლება ფიზიკური პირის წაერთვას უფლებათარსიანობა”.

(იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მ.11.(4)).

ამავე პოზიციას ამყარებს საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვითა და ხელშეუხებლობით.

უფლებათარსიანობა ფიზიკური პირისა – არის მისი ბუნებითი, თანდაყოლილი უფლება, რომელიც აღიარებს მას, როგორც პიროვნებას და მის მინიმუმ უფლებებს, რაც ყოველგვარი მინიჭების გარეშე ისედაც გააჩნია.

როგორც ზემოთ ითქვა – უფლებათარსიანობა – თანდაყოლილად გააჩნია ფიზიკურ პირს და მისი ჩამორთმევა – დაუშვებელია. იგი შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პირის გარდაცვალებით: ” ფიზიკური პირის უფლებათარსიანობა წყდება მისი გარდაცვალებით.”

გარდაცვალების მომენტად ითვლება – თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

”(საქ.სამოქ.კოდექსი. მ.11 (გ)).

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მისაღებია გარდაცვალების ასეთი დაკონკრეტება, რადგან თავის ტვინის უჯრედების ფუნქციონირების შეწყვეტა შეუქცევადი პროცესია, რის შემდეგაც ადამიანი აუცილებლად იღუპება. გარდაცვალება ეს ის ფაქტია, რომლითაც წყდება ყველა უფლებები და ვალდებულებები ამ პირისა და თავად ამ პირთან მიმართებაშიც – “ქრება სუბიექტი”. ეს თავისთავად გულისხმობს ცვლილებებს იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელშიც ეს პირი თავად იყო ჩაბმული.

უფლებათარსიანობის გარდა ფიზიკური პირს აქვს გაცილებით უფრო ფართო და მრავალფეროვანი უფლებები, რომელსაც შეიძენს გარკვეული პირობების დადგომის დროს. ეს არის ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად:

▲ უნარი - თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები ▼

(იხ. საქ. სამქ. კოდ. (მ.12(1))

ქმედუნარიანობა 3 ძირითად ეტაპად იყოფა:

I ეტაპი

სრული ქმედუნარიანი: ა) 18 წლიდან (სრულწლოვანი) (იხ: სამ.კოდ.მ.2.(1;2))

ბ) პირი, ვინც იქორწინებს 18 წ-მდე (იხ: სამ.კოდ.მ.12(3))

II ეტაპი

შეზღუდული ქმედუნარიანობა: ა) 7 – 18 წლამდე (იხ: სამ.კოდ. მ.14(1))

ბ) ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამო მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს საკუთარი ოჯახის წევრებს.

(იხ: საქ. სამოქ. კოდექსი მ.16 (1))

გ) სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. (იხ: სამ.კოდ. მ.14(2))

III ეტაპი

ქმედუნარო:

ა) 7 წლამდე ასაკის პირები (მცირეწლოვანები);
 ბ) სულით ავადმყოფები; } ჰყავს კანონიერი
 გ) ჭკუასუსტები } წარმომადგენელი მეურვე

(იხ: სამ.კოდ. მ.12(4;5))

ქმედუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.

(იხ: საქ. სამოქ. კოდ. მ.12(6))

კანონით იკრძალება – მხარეთა შეთანხმებით შეიზღუდოს პირის ქმედუნარიანობა.

(იხ: საქ. სამოქ. კოდ. მ.13)

ფიზიკურ პირს გააჩნია – სახელი, რომელშიც სამოქალაქო კოდექსი მოიაზრებს – სახელსაც და გვარსაც და პირს ანიჭებს სახელის შეცვლის უფლებასაც.

სახელი პირის იდენტიფიკაციის საშუალებაა. დასაშვებია – ფსევდონიმის გამოყენებაც. ცალკეულ შემთხვევებში (საავტორო სამართლებრივ ურთიერთობებში), თუმცა ფსევდონიმი არ გამოიყენება, რომ აღადგინოს აქვს კიდევ საკუთარი სახელი.

(იხ: საქ. სამოქ. კოდ. მ.10(2))

ფიზიკური პირის სახელს იცავს, როგორც სამოქალაქო სამართალი, ასევე ინტელექტუალური სამართალი.

სამოქალაქო სამართლის მე-18-ე მუხლი იცავს პირის სახელს სხვის მიერ უნებართვო სარგებლობისაგან და ხელმყოფისადმი მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. სახელთან ერთად იცავს ფიზიკურ პირის: – პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეკრულებებს და საქმიან რეპუტაციას – შელახვისაგან.

თუკი მოხდა ასეთი უფლებების შემლახველი ცნობების გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც ამავე საშუალებებით უნდა მოხდეს და თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

ასევე დაცულია პირის – გამოსახულების (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) მისი თანხმობის გარეშე გამოქვეყნება. თანხმობა არის საჭირო, თუ გადაღება დაკავშირებულია:

- საზოგადოებრივ აღიარებასთან;
- დაკავებულ თანამდებობასთან;
- მართლმსაჯულების მოთხოვნებთან;
- პოლიციის მოთხოვნებთან;
- სამეცნიერო მიზნებთან;
- სასწავლო მიზნებთან;
- კულტურულ მიზნებთან;
- თუ პოზირებისთვის პირმა მიიღო საზღაური.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ. 18)

პირადი უფლებების დაცვა დასაშვებია პირის გარდაცველების შემდეგაც იმ პირის მხრიდან ვისაც ამის ინტერესი გააჩნია. ამ შემთხვევაში მოთხოვნა არ შეიძლება შეეხებოდეს – მორალურ ზიანის ქონებრივ ანაზღაურებას.

პირს შეუძლია შეიცვალოს სახელი, მისამართი, მაგრამ შესაბამისი პროცედურების დაცვით.

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.17.(2)).

▲ **საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც პირი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეუძლია რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ქონდეს.** ▼

(იხ. საქ. სამქ. კოდ. მ.20.(1))

კანონი პირდაპირ აძლევს პირს საცხოვრებელი ადგილის და რაოდენობის არჩევის თავისუფლებას.

საცხოვრებელ ადგილს ბევრი სახის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება, მაგალითად, როგორიც არის:

- პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- პირის გარდაცვლილად გამოცხადება;
- ხელშეკრულების შესრულება;
- ვალდებულების შესრულება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კოდექსი იცავს იმ პირებს, ვინც იძულების წესით ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და მათ არ უუქმდებათ იგი. (მ. 20 (3))

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს, ფიზიკურ პირებთან ერთად, ასევე წარმოადგენენ – იურიდიული პირები.

იურიდიული პირი ეს არის ორგანიზებული მოწესრიგებული წარმონაქმნი. შეიძლება ითქვას, რომ წინა საუკუნეებში არსებობდა მისი წინასახე, თუმცა არა იმ სახით როგორადაც დღეს არის წარმოდგენილი.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი შემდეგნაირად განმარტავს მას:

▲ იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებსა და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“. ▼

იურიდიული პირის ზემოთ მოცემული კოდექსისეული განმარტებიდან იკვეთება მისი დამახასიათებელი ნიშნები. იმისათვის, რომ სახეზე გვქონდეს იურიდიული პირის სტატუსის მქონე სუბიექტი, აუცილებელია **5 დამახასიათებელი ნიშნის ერთდროულად არსებობა:**

1) იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი;

უპირველეს ყოვლისა, იურიდიული პირი ყოველთვის არის ორგანიზაციული წარმონაქმნი, ანუ იგი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილი სამართლებრივი ფორმით (პოლიტიკური პარტია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, სააქციო საზოგადოება). დაუშვებელია, იურიდიულ პირად მიჩნეულ იქნეს ისეთი წარმონაქმნი, რომელიც კანონით არ არის აღიარებული როგორც იურიდიული პირი. ამ მხრივაც განსხვავება არსებობს საჯარო და კერძო სამართალს მიკუთვნებულ ნორმატიულ აქტებს შორის.

თუ საჯარო სამართალში იურიდიული პირები სამართლებრივი ფორმის არჩევანი შეუზღუდავია და ნებისმიერ დროს ნებისმიერი საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით შეიძლება შეიქმნას, კერძო სამართალში სამართლებრივი ფორმები დგინდება მხოლოდ ერთი საკანონმდებლო აქტით – სამოქალაქო კოდექსით: თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არსებული ყველა სამართლებრივი ფორმა მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით. მაგალითად, კომერციული იურიდიული პირები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი) რეგულირდება **საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“**.

2) იურიდიულ პირს აქვს საკუთარი ქონება;

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირის ქონება შეიძლება შეიქმნას დამფუძნებლის (დამფუძნებლების) კუთვნილი ქონებრივი (არაქონებრივი) შენატანებიდან, შენატანის განხორციელების მომენტიდან ეს ქონება გადადის იურიდიული პირის საკუთრებაში და იგი იქნება დამფუძნებლის (დამფუძნებლების) ქონებისაგან განცალკავებული. მაგალითად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში პარტნიორმა გააკეთა ქონებრივი შენატანი, შეტანილი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ჩაითვლება საზოგადოების ქონებად, ხოლო თავად პარტნიორს ეკუთვნის წილი საზოგადოებაში. ვინაიდან იურიდიული პირის ქონება გამიჯნულია მისი დამფუძნებლის (დამფუძნებლების) ქონებისაგან, იგი, შესაბამისად, თავისი ვალებისათვის თვითონ აგებს პასუხს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც კანონი სხვაგვარად ითვალისწინებს: მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალებისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე. ამდენად, იურიდიულ პირს ახასიათებს დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის უნარი.

3) იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი:

ფიზიკური პირის მსგავსად, იურიდიული პირიც სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს საკუთარი სახელით. სახელი არის მისი იდენტიფიკაციის საშუალება, თუმცა, იურიდიულ პირს იდენტიფიკაციის სხვა საშუალებაც აქვს, მაგ.: საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, საკუთარი სახელით იურიდიული პირი დებს გარიგებებს და მას შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ფიზიკური პირის სახელის მსგავსად, იურიდიული პირის სახელიც დაცულია კანონით სხვა პირთა მიერ უნებართვო სარგებლობისაგან. საკუთარი უფლებების დაცვისათვის იურიდიულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოსა და სახელის უნებართვო მოსარგებლობისგან მოითხოვოს სარგებლობის შეწყვეტა და მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

არასამეწარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება მისი სამართლებრივი ფორმა. სამეწარმეო იურიდიულ პირის საფირმო სახელწოდება წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით“.

იურიდიული პირის სახელს აქვს კომერციული მნიშვნელობაც და ამ სახით იგი უკვე წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივ სიკეთეს. როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე იგი შეიძლება სხვა პირსაც გადაეცეს (მაგ.: საწარმოს ნაყიდობის დროს).

4) იურიდიული პირი იქმნება განსაზღვრული მიზნისათვის:

განსაზღვრული მიზნის გარეშე, იურიდიული პირი არ შეიძლება არც დაფუძნდეს და არც არსებობდეს. მიზანი განისაზღვრება იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ და მიეთითება სადამფუძნებლო აქტში (წესდება, დებულება).

5) კერძო სამართლის იურიდიული პირის წარმოშობისა და არსებობის აუცილებელი წინაპირობაა რეგისტრაცია:

ეს უკანასკნელი დამახასიათებელი ნიშანი ეხება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაციას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა, მათ აღრიცხვას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. კერძო სამართლის იურიდიული პირი სამართლის სუბიექტის სტატუსს იძენს სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან; ამდენად, რეგისტრაციას დამდგენი ანუ კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

იურიდიული პირები, უპირველეს ყოვლისა, იყოფა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განსცალკავებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც

სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ასახელებს შემდეგ ორგანიზაციულ წარმონაქმნებს:

- 1) სახელმწიფო;
- 2) თვითმართველი ერთეული;
- 3) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც ჩამოყალიბებული არ არიან სამოქალაქო კოდექსის ან „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმით;
- 4) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც შექმნილია არ არის სამოქალაქო კოდექსის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 5) საჯარო მიზნების მისაღწევად, კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა);
- 6) კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო, როგორც ერთიანი ორგანიზაცია, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მსგავსად სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ისიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სამინისტროებს, სახელმწიფო დეპარტამენტებსა და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებებს არა აქვთ იურიდიული პირის სტატუსი; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნება:

- 1) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- 2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 3) კომანდიტური საზოგადოება;
- 4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 5) საქციო საზოგადოება;
- 6) კოოპერატივი.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ჰყოფენ არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის 14 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე პირველ კატეგორიაში შედიოდა კავშირი და ფონდი. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ამ უკანასკნელთა ადგილზე ჩამოყალიბდა არაკომერციული იურიდიული პირის ერთიანი ცნება, რომელსაც ასევე ეწოდება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. დანარჩენი სამართლებრივი ფორმები მიეკუთვნება კომერციულ იურიდიულ პირებს.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის თეორიაში კერძო სამართლის იურიდიული პირების აღნიშნულ ფორმებს ყოფენ იმისდა მიხედვითაც, ჰყავს თუ არა იურიდიულ პირს წევრები და, თუ ჰყავს, რამდენად არის წევრობაზე დამოკიდებული მისი არსებობა. იურიდიულ პირს, რომელსაც ჰყავს წევრები, კორპორაციას უწოდებენ, კომერციული იურიდიული პირები იყოფა 2 კატეგორიად: ე.წ. ამხანაგობის ტიპის და კაპიტალურ იურიდიულ პირებად (საზოგადოებრად). ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს მიეკუთვნება, მაგ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კაპიტალურს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება.

ვინაიდან იურიდიული პირი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია, მასაც აქვს უფლებათნარიანობა და ქმედუნარიანობა, რომელიც, გარკვეულწილად, ემსგავსება ფიზიკური პირის ანალოგიურ უნარებს, თუმცა, იურიდიული პირის უფლებათნარიანობა და ქმედუნარიანობა თავისი შინაარსით მათგან არსებითად განსხვავდება.

თავად იურიდიული პირების უფლებათნარიანობა და ქმედუნარიანობა არის განსხვავებული იმისდა მიხედვით, საქმე ეხება საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებათნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებსა და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა. თუ იგი დაფუძნებულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, მისი წესდება (დებულება) უნდა შეესაბამებოდეს იმ კანონის მოთხოვნებს, რომლის საფუძველზედაც მოხდა ადმინისტრაციული აქტის მიღება.

განსხვავებით საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან, კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებათნარიანობა ზოგადია; მათ უფლება აქვთ, განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული (იხ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი). მაგალითად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებასა და სამეწარმეო რეესტრში საქმიანობის საგნის სახით მითითებული აქვს საკვები პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, მას შეუძლია გამოუშვას ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ისე, რომ წესდებისა და სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანა აუცილებელი არ არის. საზოგადოების მიერ დადებული გარიგებები, წესდებისა და სამეწარმეო რეესტრში ჩანაწერის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბათილად არ ჩაითვლება.

განსხვავებით ფიზიკური პირის უფლებათნარიანობისა და ქმედუნარიანობისაგან, იურიდიული პირის ანალოგიური უნარები წარმოიშობა ერთდროულად. ზოგიერთი კანონით გათვალისწინებული საქმიანობა იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის ან ნებართვისმილების მომენტიდან.

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი)